DOI: 10.67363/evzkzf1h

Diana Tkebuchava
https://orcid.org/0000-0002-4337-3259
Academic Research Coordinator,
BRAMS Institute

Lisa Howard's Back-Stage Diplomacy

(Abstract)

KEYWORDS: Lisa Howard, Fidel Castro, Diplomacy, Cold War, Cuba, United States (USA), Media, Political Communication

The French catchphrase "Cherchez la femme" (literally, "look for the woman") is especially apt in politics. Today, Lisa Howard is little remembered even in the United States, whereas in the 1950s–60s she rose to prominence first as a television actress in Hollywood and then as a broadcaster on ABC News, taking her media career into the fraught realm of international politics and behind-the-scenes diplomacy.

Following widely publicised interviews with leading figures such as President Dwight D. Eisenhower, former First Lady Eleanor Roosevelt, John F. Kennedy in his Senate years, and Soviet Premier Nikita Khrushchev, she attracted dangerous attention after securing exclusive interviews with Fidel Castro shortly after the thirteen-day Caribbean crisis of 1962. Some modern analysts argue that her close contact with the Cuban leader – long a major preoccupation of the US administration – had a marked effect on the course of the Cold War.

Remarkable for her beauty and intelligence, Lisa Howard was a courageous, gifted and resourceful professional who

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

reached the upper echelons of the Fourth Estate and became entangled in the US-Cuba political turbulence of the 1960s.

Her successful political and media career, and the principled stance for which she was known, came to an abrupt end in 1964. Apparent decisions within the Johnson administration led to her exclusion from key channels of influence around July of that year, terminating her role as a high-level political interlocutor. Moreover, her attempts to control the tone and content of her April television special "Cuba and Castro Today" hastened her professional decline at ABC News. In late September, the network suspended her from the daily programme without formal warning and dismissed her within a month. Efforts to obtain new employment failed because she was reportedly deemed "lousy" by prospective employers. In late spring 1965, a personal tragedy concluded this sequence of setbacks, draining her remaining reserves of strength and will to live; she died from an overdose.

Consequently, Lisa Howard's attempts to bridge the Cold War divide across the Florida Straits laid part of the historical groundwork for later rapprochement between the United States and Cuba. As Peter Kornbluh has observed, the Obama administration achieved a dramatic breakthrough in US-Cuba relations in March 2016 that owed something to initiatives of earlier interlocutors such as Howard. Nevertheless, the "honourable rapprochement", as she described it in her diary, remains fragile; with the political question still unresolved, Lisa Howard's neglected diplomatic legacy retains its significance.

BRAMS 2020 May
Volume 1, Issue 2
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

DOI: 10.67363/evzkzf1h

დიანა ტყებუჩავა
https://orcid.org/0000-0002-4337-3259
აკადემიური კვლევების კოორდინატორი,
ბრამსის ინსტიტუტი

ლიზა ჰავარდის კულისებსმიღმური დიპლომატია

საკვანძო სიტყვები: ლიზა ჰავარდი, ფიდელ კასტრო, დიპლომატია, „ცივი ომი“, კუბა, აშშ, მედია, პოლიტიკური კომუნიკაცია

ფრანგული ფრთიანი გამოთქმა – „ეძებეთ ქალი“ (Cherchez la femme),[33] ყველაზე მეტად, უთუოდ, დიდ პოლიტიკაში ამართლებს. გასული საუკუნის 60-იანი წლების ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და გავლენიანი ამერიკელი ტელეჟურნალისტი ლიზა ჰავარდი დღეს თვით შტატებშიც ნაკლებად ახსოვთ, მაგრამ თავის დროზე მან პირველმა დაიპყრო მამაკაცების მიერ მონოპოლიზებული სიახლური ინფორმაციის სატელევიზიო სივრცე – იგი ABC-ის[25] პირველი ქალი-კორესპონდენტი გახდა და, პირველი შოუმენი ქალბატონიც, რომელსაც საკუთარი საავტორო გადაცემა ჰქონდა და პოლიტიკაზე საუბრობდა მედიააუდიტორიასთან. სულ მალე ლიზა ჰავარდის გავლენის სფერო დიდად გასცდა ჟურნალისტიკის საზღვრებს. თავისი პრინციპული, აქტიური, უკომპრომისო ნატურის წყალობით, ეს სიფრიფანა, ჰოლივუდური შარმით მოსილი ქალბატონი იმჟამინდელი ბობოქარი პოლიტიკური მოვლენების ეპიცენტრში აღმოჩნდა.

„მსურდა მესაუბრა ადამიანებთან, ვინც სიახლურ ინფორმაციას ქმნის. მინდოდა იქ ვყოფილიყავი, სადაც ისტორია იწერება... სულ უფრო და უფრო მეტად ვინტერესდებოდი წარსულითა და მსოფლიო ვითარებით, სულ უფრო ნაკლებად მაღელვებდა ლუიზა გრიმზლის[27] ბე-

BRAMS 2020 May
Volume 1, Issue 2
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

დი“,[3] – ასე აუხსნა ამერიკული დაზვერვის „იდუმალმა ემისარმა“ ფართო აუდიტორიას თავისი მძაფრსიუჟეტიანი ცხოვრების არსი.

ლიზა ჰავარდი, იგივე, დოროთი ჯინ გუგენჰაიმი,[19] ოჰაიოს შტატში, საშუალო ფენის ებრაულ ოჯახში დაიბადა. თავიდან მისი პოპულარობა „ნომერ პირველი ცოდვილი ქალის“ იმიჯს უკავშირდება, როგორც მას ჰოლივუდში შეარქვეს მაცდუნებელი, დამნაშავე ქალების მეორეხარისხოვანი როლების შესრულების გამო სატელევიზიო პროგრამებსა თუ 1950-იანი წლების მდარე ფილმებში. მოგვიანებით, 1957 წელს პოპულარულ სერიალში ლუიზა გრიმზლის ეფექტური როლიც მიიღო, მაგრამ ჰოლივუდის აღიარება მისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა.

ჟურნალი *People Today* 1953 წლის ერთ-ერთი ნომრის ყდაზე ლიზა ჰავარდის შესახებ წერდა: „თუმც ძალზე ლამაზია, მას გაცილებით მოსწონს მგრძნობიარე და ფიქრიანი ქალბატონის იმიჯი, ვიდრე „მის ცოდვილის“ ამპლუა“.[15] ასეთი იყო მიზანსწრაფული ლიზა. ამიტომ 1960 წელს დაუნანებლად მიატოვა მსახიობის წარმატებული კარიერა და არაანაზღაურებად (უხელფასო) თავისუფალ ჟურნალისტად შეუდგა ექსკლუზიური რადიოინტერვიუების ჩაწერას Mutual Radio Network-ისათვის. მის რესპონდენტთა სოლიდურ სიას ისეთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოღვაწენი ამშვენებდნენ, როგორებიც იყვნენ პრეზიდენტი დუაიტ აიზენჰაუერი, ყოფილი პირველი ლედი ელეონორა რუზველტი და ჯერ კიდევ სენატორი ჯონ კენედი.

1960 წლის სექტემბერში ჰავარდის შთამბეჭდავმა ინტერვიუმ ნიკიტა ხრუშჩოვთან ABC News-ის[8] ხელმძღვანელთა ყურადღება მიიპყრო, ვინაიდან ეს იყო სსრ კავშირის ლიდერის პირველი ინტერვიუ, რომელიც დასავლელ რეპორტიორს მისცა.

1961 წლის მაისში ეი-ბი-სიმ[14] ჰავარდი თავისი პირველი ქალი კორესპონდენტის რანგში მიიწვია. ორი წლის თავზე ლიზა უკვე საკუთარი შოუთი წარსდგა მაყურებ-

BRAMS 2020 May
Volume 1, Issue 2
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ლის წინაშე. მართალია, თავდაპირველად, დიასახლისებისთვის განკუთვნილი ნაშუადღევის გადაცემა „ლიზა ჰავარდი და სიახლეები ქალური შესრულებით“ მიჰყავდა, რომელიც უმალ პოპულარული გახდა, მაგრამ მისი ამბიციები გაცილებით შორს მიდიოდა. სხვა ჟურნალისტი ქალბატონებისგან განსხვავებით, რომელთაც მაშინ მხოლოდ მოდისა და ამინდის თემებს ანდობდნენ, ლიზა პირველი ქალი იყო, რომელსაც საავტორო გადაცემა ჰქონდა და ყოველდღიურად სთავაზობდა მაყურებელს საშინაო თუ საერთაშორისო მოვლენების კომპეტენტურ შეფასებას. მას უკვე „საშიშრად ჭკვიან და სერიოზულ ჟურნალისტად“ მოიხსენიებდნენ, მედიდურ და შეუპოვარ კალმოსნად.

ამერიკული ჟურნალი „ტაიმი“ არცთუ ირონიის გარეშე წერდა ლიზას შესახებ: „ჰავარდმა აღიარება იმაზე ძლიერი შერკინების შედეგად მოიპოვა, ვიდრე ამას ერთსადაიმავე ბანანის გაფცქვნაზე ორიენტირებული ექვსი მაიმუნი შეძლებდა“.[3] საპნის ოპერებში პოპულარობიდან სულ რამდენიმე წელიწადში ტელეჟურნალისტიკის მეგავარსკვლავად აკაშკაშებას საზოგადოება გულგრილად ვერსად ხვდება. ცხადია, ვერც შტატებში.

ლიზა ჰავარდის მედიაშემოქმედების მწვერვალი გახდა კუბის ქარიზმატულ ლიდერთან, 1960-იანი წლების საერთაშორისო პოლიტიკური არენის ახალგაზრდა წვეროსან კომანდორ ფიდელ კასტროსთან ექსკლუზიური, გახმაურებული ინტერვიუ.[9]

იმჟამინდელი ამერიკული ადმინისტრაციის „თავის ტკივილად“ ქცეულმა ფიდელ კასტრომ 1959 წლის პირველ იანვარს დაამხო აშშ-ის მიერ მხარდაჭერილი კუბის პრეზიდენტის ფულხენსიო ბატისტას ავტორიტარული რეჟიმი და ფლორიდის სანაპიროდან სულ რაღაც 90 მილის მოშორებით რევოლუციური მთავრობა შექმნა. კასტროს ანტიამერიკული რიტორიკა და სსრკ-თან ეკონომიკური კავშირები, ბუნებრივია, მიუღებელი იყო თეთრი სახლისათვის. ამერიკის 34-ე პრეზიდენტმა დუაიტ აიზენჰაუერმა

BRAMS 2020 May
Volume 1, Issue 2
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

1960 წლის გაზაფხულზე სი-აი-ეის ნახევრადსამხედრო ინტერვენციის დაგეგმვის სანქცია გასცა ფიდელ კასტროს დამხობისა და ჰავანაში უფრო იოლად სამართავი ხელისუფლების შექმნის მიზნით.

1961 წელს აშშ-სა და კუბას შორის დიპლომატიური ურთიერთობა შეწყდა, საიდუმლო ოპერაციის გეგმა კი, რომელიც ამერიკის შემდეგმა პრეზიდენტმა ჯონ კენედიმ გადაიბარა,[13] 1961 წლის აპრილში ჩაიშალა: 72 საათზე ნაკლები ეყო კასტროს მილიციას აჯანყებულთა სი-აი-ეის დაქვემდებარებული ბრიგადის გასანადგურებლად.

აღშფოთებულმა კენედიმ კუბის წინააღმდეგ საიდუმლო ქმედებათა ახალი პროგრამის, ოპერაცია „მანგუსტის“[8] დაწყების ბრძანება გასცა. ამერიკის მხრიდან ამ აგრესიული ნაბიჯის საპასუხოდ, ფიდელ კასტრომ, რომელმაც ამასობაში კუბა სოციალისტურ სახელმწიფოდ გამოაცხადა, აშშ-ის მოსალოდნელი თავდასხმების შემაკავებელ ფაქტორად კუბაზე საბჭოთა ბირთვული რაკეტების განლაგება გადაწყვიტა. ეს დაძაბულობა მალე კარიბის სარაკეტო კრიზისში გადაიზარდა. ოქტომბრის 13 დღის[28] განმავლობაში მსოფლიო ბირთვული კატასტროფის ზღვართან იდგა.[23]

არმაგედონული სიტუაციის განმუხტვის მიზნით, კენედიმ ნიკიტა ხრუშჩოვს საიდუმლო გარიგება შესთავაზა: თურქეთიდან ამერიკული რაკეტების გაყვანა კუბიდან საბჭოთა რაკეტების მოშორების სანაცვლოდ. საბჭოთა ლიდერი ისე დათანხმდა ამერიკელებს, არც კი უკითხავს ფიდელის აზრი. ასეთმა „ღალატმა“ იმდენად გააცოფა კუბის მმართველი, რომ კენედის ადმინისტრაციის ნაწილს კასტროს დასავლეთის ორბიტაზე დაბრუნების შესაძლებლობის იმედი გაუჩნდა. თუმცა, რადგან სახელის გატეხას თავის გატეხა ჯობია, სი-აი-ეი კატეგორიულად იყო განწყობილი კუბის მმართველის დასამხობად.[2]

კუბასთან დაკავშირებული მოვლენები უაღრესად აქტუალური მედიათემა გახდა.[24] სიახლეები ამ კონფლიქტის პერიპეტიებზე ყველაზე „ცხელი ამბავი“ იყო იმჟამინ-

BRAMS 2020 May
Volume 1, Issue 2
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

დელი მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებში. ლიზა ჰავარდი საკუთარ თავს უღალატებდა, კასტროსთან ჟურნალისტური მიზნით შეხვედრას თუ არ შეეცდებოდა.

დაძაბულობის მატებამ, ემბარგოს დაწესებამ და ორ ქვეყანას შორის პირდაპირი მიმოსვლის გაუქმებამ ამერიკელ რეპორტიორებს ძალზე გაურთულა კუბაში მოხვედრის შესაძლებლობა. ლამის არარეალური გახდა ინტერვიუ კუბური რევოლუციის ემოციურ ლიდერთან. არსებული სირთულეები ლიზა ჰავარდის შეუპოვრობას კიდევ უფრო ამძაფრებდა. მან 1960-იანი წლების დასაწყისში ორჯერ წარუმატებლად სცადა კასტროსთან ინტერვიუს მოპოვება. 1962 წელს კარიბის სარაკეტო კრიზისის დასრულების შემდეგ,[26] ამ დაუცხრომელმა ქალბატონმა ინიციატივა კვლავ გამოიჩინა და კასტროს მისწერა: „მსოფლიო კრიზისის ამჟამინდელი ვითარება განა იდეალური მომენტი არაა ამერიკელ ხალხთან სასაუბროდ?“[15] თხოვნათა მრავალთვიანი ნაკადი 1963 წლის აპრილში ჟურნალისტის სასარგებლოდ გადაწყდა და ნიუ-იორკში კუბის წარმომადგენლობამ ბოლოსდაბოლოს ვიზა მისცა ლიზა ჰავარდს ჰავანაში გასამგზავრებლად.

კუნძულზე ჩასულ ამერიკელ ჟურნალისტს რამდენიმე კვირის განმავლობაში „არ იმჩნევდა“ კასტრო. ოფიციალურად, მართლაც, უკიდურესად დაკავებული ბრძანდებოდა რევოლუციის ლიდერი: იმ პერიოდში ნიუ-იორკელ ადვოკატ ჯეიმს დონოვანთან[7] აწარმოებდა მოლაპარაკებას ამერიკელ პატიმართა კუბის ციხეებიდან გათავისუფლების თაობაზე.

ჰავანაში რის ვაივაგლახით ჩაღწეული ლიზა ჰავარდის კასტროსთან შეხვედრას კიდევ ერთი ბარიერი აფერხებდა: ფიდელ კასტრო შორეულ რუსეთში გასამგზავრებლად ემზადებოდა ნიკიტა ხრუშჩოვთან სამიტზე შესახვედრად. საბჭოთა კავშირის ლიდერთან პირისპირ დიპლომატიაზე კუბის მმართველი დიდ იმედებს ამყარებდა და ამერიკელ ჟურნალისტ ქალთან საუბარი იმჟამად მის ინტერესებში საერთოდ არ შედიოდა.

BRAMS 2020 May
Volume 1, Issue 2
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

დღე დღეს მისდევდა, სასტუმროს ოთხ კედელში გამოკეტილი ლიზა ჰავარდის მოთმინება კი კრიტიკულ ზღვარს უახლოვდებოდა. ნახევრად ხუმრობით უთქვამთ: «Журналистика, это политика нежной улыбки и дипломатия хитрых кулаков».[5] „მუშტების დიპლომატია“ არა, მაგრამ თავისი ქალური ხიბლი და ჰოლივუდური ღიმილი უხვად ჩართო ჰავარდმა რეპორტიორულ იერიშებში. მართლაც რომ „წყლის ძალა“ გამოიჩინა სასურველი ინტერვიუს მოსაპოვებლად, რომელმაც, როგორც მოგვიანებით აღინიშნა, „ლამის შეცვალა „ცივი ომის“[35] გეზი.[3] სიტყვით ზემოქმედების სწორედ ამგვარი ძალაა ის ფაქტორი, რამაც „მეოთხე ხელისუფლების“ სტატუსი შესძინა ჟურნალისტის უძველეს პროფესიას.

შეუპოვარმა ქალბატონმა კასტროს მშობლიურ ესპანურ ენაზე გაუგზავნა მორიგი თხოვნა: „მომეცით ეს ინტერვიუ. გემუდარებით, დამთანხმდით“.[14] წერილი ლიზამ კასტროს შუამავლების დახმარებით გაუგზავნა, რომელთა შორის დონოვანიც იყო. ამ უკანასკნელს ჰავარდმა კასტროსთან წარდგინებაც სთხოვა.[7] ჯეიმს დონოვანი მოგვიანებით იხსენებდა: „ვუთხარი, რომ ლამაზ, მოქნარაო რეპორტიორ ქალს მასთან ინტერვიუ სურდა და, იქნებ, დრო გამოენახა მისთვის. ვეცადე, ფიდელის ბუნებრივ მამაკაცურ ცნობისმოყვარეობასა და პატივმოყვარეობაზე მეთამაშა“.[15] ძნელი სათქმელია, მართლა მამაკაცური ინტერესისა და ღირსების გამო თუ იმ იმედით, რომ ლიზა ჰავარდი, შესაძლოა, ამერიკასთან კუბის დამაკავშირებელი სასარგებლო არხი გამხდარიყო, მაგრამ ფაქტია, რომ კასტრო ამჯერად დათანხმდა.

ისინი 1963 წლის 21 აპრილს შუაღამეზე შეხვდნენ ერთმანეთს სასტუმრო „რივიერას“ ღამის კლუბში და, თითქმის, დილის 6 საათამდე ისაუბრეს.[10] თემატიკა მრავალფეროვანი გამოუვიდათ, რადგან არაერთი საინტერესო სათქმელი აღმოაჩნდათ: პრეზიდენტ კენედის პიროვნება (კასტროს განსაკუთრებული ინტერესის საგანი), ლიზა ჰავარდის პირადი შთაბეჭდილებები „ბებერ ეშმაკ მელა-

BRAMS 2020 May
Volume 1, Issue 2
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ზე“ (როგორც კასტრომ მოიხსენია საბჭოთა ლიდერი ნიკიტა ხრუშჩოვი), რომელსაც ფიდელი თავადაც უნდა შეხვედროდა სულ მალე და სხვ. თავის მხრივ, ჰავარდმა საკმაოდ გაბედული, მძაფრი შეკითხვებიც (ახლა რომ „შოკურს“ ვუწოდებთ) დაუსვა კასტროს მისი „პოლიციური სახელმწიფო აპარატის“ თაობაზე.[9]

ლიზა ჰავარდზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა ფიდელ კასტროს ცოდნის მასშტაბმა. მოგვიანებით ამერიკელმა ჟურნალისტმა დაწერა: „არასდროს, არასდროს მინახავს ალბერ კამიუს განცდებით დაინტერესებული კომუნისტი და, ცხადია, არც ისეთი თავგამოდებული კომუნისტები მინახავს, ჩვენი კონსტიტუციისა და უფლებათა ბილის ღირსებებზე მსჯელობა რომ სურდათ; თუმცა, ფიდელმა უზომოდ ისიამოვნა ამ საუბრით“.[15]

მეორე მხარისთვისაც, ალბათ, შთამბეჭდავი გამოდგა იმღამინდელი შეხვედრა, რადგან ექსტრემალური პოლიტიკური ვითარების, მოუცლელობის, მძიმე ხასიათის, შორეულ სსრკ-ში გამგზავრებისა და „ბებერ ეშმაკ მელასთან“ – ნიკიტა ხრუშჩოვთან პირველი შეხვედრის მოლოდინისა თუ სხვა ათასი დავიდარაბის მიუხედავად, შეუვალი კომანდორი ოფიციალურ ინტერვიუს დათანხმდა ამერიკელ ტელეჟურნალისტთან, რაც 1959 წლის შემდეგ პირველად მოხდა. ეტყობა, მართლაც უზომოდ მოიხიბლა სიფრიფანა, ქერა ამერიკელი ჟურნალისტი ქალბატონის პროფესიონალიზმით, საუბრის მანერით, გონიერებითა და, ალბათ, შეუპოვრობითაც, რაც ფიდელის ბუნებას განსაკუთრებით ესადაგებოდა; ანდა, შესაძლოა, სულაც, ლიზას ქალურობამ გაჭრა.

24 აპრილს, დილააადრიან შედგა მათი დიალოგი.[29] ლიზა ჰავარდი თავის ამპლუაში იყო. მისთვის დამახასიათებელი ხისტი შეკითხვებით მიიტანა პირველივე იერიში რესპონდენტზე: როდის გახდით კომუნისტი? ხრუშჩოვს თქვენ სთხოვეთ ბირთვული რაკეტები? ფლორიდაში რატომ გაიქცა ასიათასობით კუბელი?

BRAMS 2020 May
Volume 1, Issue 2
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

კასტრო ოდნავაც არ გაღიზიანებულა. მეტიც, იგი შიგადაშიგ კონტრშეკითხვებით პასუხობდა და ცდილობდა მისკენ მიმართული იერიშის „შერბილებას“ იმის დემონსტრირებით, რომ მშვენიერი ქალის კატეგორიულობა პრობლემას საერთოდ არ უქმნიდა. „თქვენი ქერა თმა ბუნებრივია?“ – ასეთი იყო კასტროს ერთ-ერთი თავდასხმითი „ლირიკული გადახვევა“. თუმცა, „საშიშრად ჭკვიანი და სერიოზული“ რეპორტიორის პასუხი ქედმაღლური და შეუვალი აღმოჩნდა: „ჩემს ქვეყანაში მსგავს კითხვებზე პასუხის გაცემა არ გვიწევს“.[15]

უმთავრესი და საჭირბოროტო კითხვა ჰავარდს საფინალოდ ჰქონდა შემონახული: „რა პირობებით დაუჭერს მხარს კასტრო ვაშინგტონთან დაახლოებას?“ ფიდელმა ფრთხილი ინგლისურით უპასუხა, რომ დაახლოება „შესაძლებელია, თუკი ამას შეერთებული შტატების მთავრობა მოისურვებს“.[29] კუბის ლიდერმა საკუთარი მოსაზრების მყარ არგუმენტად მოიშველია ჯეიმს დონოვანთან წარმატებული მოლაპარაკებების პოზიტიური შედეგი ამერიკელ პატიმართა განთავისუფლების საკითხთან დაკავშირებით, როგორც დაახლოების გზაზე წინ გადადგმული ნაბიჯი. ამერიკის ერთ-ერთ, იმჟამად ყველაზე ცნობილ მტრად აღიარებული ფიდელ კასტროს ეს განცხადება, ბირთვული დაპირისპირებიდან სულ რამდენიმე თვის შემდეგ, მომენტალურად მოხვდა საინფორმაციო საშუალებათა ანონსებში.[9]

ამ ექსკლუზიური ინტერვიუს შეფასებისას აუცილებელია ლიზა ჰავარდის პროფესიონალიზმის ხაზგასმა. პირველყოვლისა, დასაფასებელია ჟურნალისტი ქალის შეუპოვრობა სასურველ რესპონდენტთან შეხვედრის უფლების მოსაპოვებლად. უკიდურესად დაძაბული პოლიტიკური ვითარება, გაწყვეტილი დიპლომატიური კავშირები და მიმოსვლის აკრძალვა ორ ქვეყანას შორის, პრაქტიკულად, შეუძლებელს ხდიდა ამ „მოჯადოებული წრის“ –

BRAMS 2020 May
Volume 1, Issue 2
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

სავიზო რეჟიმის ბლოკადის გარღვევას. ლიზა არ დანებდა და, პრაქტიკულად, შეუძლებელი შეძლო.

„უშიშარი, ვითარცა უხორცო“ სწორედ ამ კაფანდარა ქალბატონზე შეიძლება ითქვას, რომელიც ისწრაფვოდა ყოვლად არაორდინალური პიროვნებისა და რესპონდენტის: მეამბოხე კომანდანტეს, კუბის სოციალისტურ რესპუბლიკად გამომცხადებლის, ორიოდე თვის წინ კარიბის სარაკეტო კრიზისის გამჩაღებლისა და სამყაროს ბირთვული კატასტროფის ზღვართან დამყენებლის – ფიდელ კასტროს ინტერვიუზე დათანხმებას.[34]

აკადემიზმი, განსწავლულობა, პროფესიული „მუნდირისა“ და სამშობლოს ინტერესების, პრესტიჟის დაცვა, ლიზა ჰავარდის ჟურნალისტური არსენალის შემადგენელ თვისებებს წარმოადგენდა. მან უიარაღოდ, მხოლოდ პიროვნული და პროფესიული ღირსებებით შეძლო ის, რასაც კბილებამდე შეიარაღებულმა ფორმირებებმა ვერ მიაღწიეს.

შემტევ, „ხისტ“ შეკითხვებს ქალური მომხიბვლელობისა და მაღალი პროფესიონალიზმის ისეთი ნაზავით სვამდა, რომ პასუხსაც გაწონასწორებულსა და, შეძლებისდაგვარად, „დამთმობს“ იღებდა. ბუნებრივია, რომ ამგვარი ჟურნალისტური მიდგომით, ლიზამ უმკაცრესი კომანდანტეს კეთილგანწყობა დაიმსახურა: ინტერვიუს შემდეგ რამდენიმე საათში ფიდელი მოსკოვში გაფრინდა ნიკიტა ხრუშჩოვთან შესახვედრად, წასვლის წინ კი ჟურნალისტს ყვავილების უზარმაზარი თაიგული გაუგზავნა სასტუმროს ნომერში.[15]

დაბოლოს, უნდა აღინიშნოს უმთავრესი: ფინალური შეკითხვის პოლიტიკური და ემოციური გამიზნულობა, მასშტაბი, რამაც უდიდესი წარმატება მოუტანა ლიზა ჰავარდს, როგორც ჟურნალისტს, და რის გამოც უპრეცედენტოდ მაღალი შეფასება ერგო მის ნამუშევარს: „ინტერვიუ, რომელმაც „ცივი ომის“ გეზი შეცვალა“.[17] როცა 1963 წლის 10 მაისს „ფიდელ კასტროს ავტოპორტრეტი“[16]

BRAMS 2020 May
Volume 1, Issue 2
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ამერიკული ტელეკომპანია ABC News-ის ეთერში გავიდა, ლიზა ჰავარდის სპეციალურმა სიუჟეტმა მსოფლიო საინფორმაციო სივრცეში ხანგრძლივი რეზონანსი გამოიწვია.

1963 წლის ნოემბრიდან კენედის ადმინისტრაცია საიდუმლო მოლაპარაკებებს აწარმოებდა ფიდელ კასტროსთან, რაც დალასის ტრაგედიამდე გაგრძელდა.[2] აქ უმნიშვნელოვანესი ჰავარდის როლი და მონაწილეობა იყო. პოპულარული ტელეარხის ABC News-ის[25] ვარსკვლავის პოზიციიდან შეუპოვარი ქერა ქალბატონი თანდათან სერიოზულმა პოლიტიკურმა თამაშებმა გაიტაცა. 1963 წლის მეორე ნახევრიდან 1964-ის ივლისამდე ლიზა ჰავარდი საიდუმლო გზავნილებს გადასცემდა კუბის რევოლუციურ რეჟიმსა და თეთრი სახლის ადმინისტრაციას შორის.

1964 წელს ჰავარდი კვლავ კუბაში გაემგზავრა და ABC News-ისათვის კიდევ ერთი სპეციალური გამოშვება მოამზადა. 2 თებერვალს სასტუმრო „რივიერას“ ლუქსში შეხვედრის მომლოდინე ამერიკელ რეპორტიორს ღამის თერთმეტის ნახევარზე მიაკითხა კუბის რევოლუციის ლიდერმა და „ცივი ომის“ მთავარმა ანტიგმირმა.[15] ამჯერად ლიზა მხოლოდ ჟურნალისტიკით არ შემოიფარგლა. ჰავარდი აქტიურად ცდილობდა „მეოთხე ხელისუფლების“ პოტენციალის გამოყენებას აშშ-ისა და კუბის „კეთილშობილური დაახლოების“ კურსისათვის ხელის შეწყობის მიზნით.

ზამთრის ინტერვიუს კვალდაკვალ, ლიზა ჰავარდისგან მიღებული წერილობითი ანგარიშის გაცნობის შემდეგ, ამერიკის მთავრობა კულუარული დიპლომატიის თამაშში აჰყვა[32] ეროვნული ტელეჟურნალისტიკის მყისიერად აკაშკაშებულ მეგავარსკვლავს. 1964 წლის 19 ივნისს პოლიტიკურ ვნებათაღელვებში ღრმად შეჭრილი მომხიბლავი ტელეჟურნალისტი კვლავ ჩავიდა კუბაში, უკვე საიდუმლო ემისრის რანგში,[17] როგორც პრეზიდენტ ლინდონ ჯონსონის ადმინისტრაციასა და ფიდელ კასტროს შორის დიალოგის მედიატორი. კუბის მთავრობაც შესაბამისად

BRAMS 2020 May
Volume 1, Issue 2
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

დახვდა დიპლომატიურ სტატუსში აყვანილ სტუმარს და სპეციალურად მოწყობილ რეზიდენციაში განათავსა ჰავარდი, სადაც პირადი მზარეული და კადილაკიანი მძღოლი ემსახურებოდა. მომხიბლავი და გონიერი, შეუპოვარი, ნიჭიერი და განათლებული ჟურნალისტი ქალი ჭეშმარიტი „მეოთხე ხელისუფლების“ სიმაღლიდან გასული საუკუნის 60-იანი წლების საერთაშორისო პოლიტიკური არენის ცენტრში აღმოჩნდა. „ლიზა ჰავარდმა, თითქმის, მარტომ გასდო უპრეცედენტო ხიდი კასტროსა და ოვალურ კაბინეტს შორის“,[3] წერდა მოგვიანებით პიტერ კორნბლუ.

როგორც ცნობილია, ამგვარ ზესვლას არ პატიობენ არსად არავის. როგორც მორის ფოცხიშვილს აქვს დიდებულად ნათქვამი ლექსში „ნადირობა“:

„სანამდე არ აფრინდება,
არავინ ერჩის მწყერს“ –
მაგრამ როგორც კი მიწას ოდნავ ასცდება...

გამორჩეულად მაღლა მოინდომა და არაერთგზის შეძლო კიდეც აფრენა უნიჭიერესმა ლიზა ჰავარდმა. არ აპატიეს. თეთრი სახლის ჩინოვნიკები დიდხანს და მონდომებით ცდილობდნენ მის გაჩუმებას. ვერაფრით დააოკეს. ლინდონ ჯონსონის ადმინისტრაციასა და სი-აი-ეის სრულიად დაეკარგა უკონტროლო, თავნება ჟურნალისტი ქალის ნდობა. რადგან საიდუმლო ემისარი ნებით არაფრით თმობდა პოზიციებს, იგი აიძულეს. 1964 წლის ივლისიდან ამერიკის ხელისუფლების წარმომადგენლებმა ჰავარდი საიდუმლო პოლიტიკურ თამაშს ჩამოაშორეს, როგორც უსარგებლო, სუსტი რგოლი. აქედან მოყოლებული აღარც დაზვერვის ჩანაწერებში ჩანს ჰავარდის კვალი კუბასა და ვაშინგტონს შორის ურთიერთობებში და ვერც ჰავარდის დღიურებში ვპოულობთ რაიმე ჩანაწერს კასტროსთან ან თეთრ სახლთან მისი კონტაქტის თაობაზე.

საიდუმლო კავშირის შეწყვეტის პარალელურად, ჩიხში შევიდა ოფიციალური დიალოგიც კუბასთან.[7] ფიდელ კასტროს მოწოდება ვაშინგტონთან „ფართე დისკუ-

BRAMS 2020 May
Volume 1, Issue 2
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

სიებისკენ“ დარჩა ხმად მღაღადებლისად ისევე, როგორც მისი ძმის, რაულ კასტროს წინადადებები, შეხვედროდნენ ამერიკულ მხარეს მოსალაპარაკებლად ურთიერთობების გაუმჯობესების მიზნით, ნებისმიერ ადგილას, თუნდაც – მთვარეზე.[3]

სასოწარკვეთილი ჰავარდი 1964 წლის დეკემბერში შეეცადა არგენტინელი რევოლუციონერის ჩე გევარას გაეროში ვიზიტით ესარგებლა, რათა განეახლებინა განხეთქილების გადალახვის მცდელობები. ჩეს ნიუ-იორკში ვიზიტის პერიოდში, ლიზა მას გვერდიდან არ მოშორებია. ერთად დაესწრნენ დოკუმენტური ფილმის პრემიერას ჯონ კენედის ცხოვრებაზე. ჰავარდმა მიღებაც მოუწყო არგენტინელს თავის ნიუ-იორკის ბინაში. „ჩე გევარას სათქმელი აქვს“[11] თეთრი სახლისთვისო, ტელეფონით აუწყა ლიზამ აშშ-ის პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან თავის მეკავშირეს, ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს (NSC) წევრს გორდონ ჩეიზს, რომელიც მხურვალედ იზიარებდა კასტროს კომუნისტური კლანჭებიდან ამერიკულ პოლიტიკურ ორბიტაზე გადმობირების ჰავარდისეულ პოზიციას.

ლიზამ კვლავ „კოქტეილური დიპლომატიის“ გამოყენება სცადა ორივე მხარის შესანიღბად. მას გაეროში შეერთებული შტატების ელჩის ედლეი სტივენსონის დახმარების იმედი ჰქონდა, რომელსაც ჯერ კიდევ 1964 წლის 5 ივნისს ფარული შეხვედრისას შეუთანხმდა აშშ-კუბის შემორიგების საქმეში ურთიერთთანადგომაზე.[17] ფრთხილი დიპლომატიის მომხრე გორდონ ჩეიზის აზრით, ასეთი მაღალი დონის პოლიტიკური აქტივობა პრესის ყურადღებას მიიქცევდა. ფარული მოლაპარაკებების გასაჯაროება კატეგორიულად არ აწყობდა შტატების მთავრობას. სახელმწიფო დეპარტამენტის ჩინოვნიკებმა ჟურნალისტთან დაკავშირებით მკაცრი პოზიცია დაიკავეს: „ლიზა უნდა დაოკდეს, გაჩუმდეს და მზადყოფნის რეჟიმში დარჩეს. კასტროზე მისი გავლენის გამოყენება, შესაძლოა, მომა-

BRAMS 2020 May
Volume 1, Issue 2
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ვალში ისევ მოგვინდეს“.[10] ამ გაფრთხილების სერიოზულობა ჰავარდმა ან სათანადოდ ვერ აღიქვა, ან შეგნებულად დატოვა უყურადღებოდ.

ლიზა ჰავარდის მიერ შეთავაზებულ შეხვედრას ჩე გევარასთან დიდი ენთუზიაზმით შეხვდა გაეროში ამერიკის ელჩი, მაგრამ სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენლებმა სტივენსონ-გევარას შეხვედრის ნებართვა არ გასცეს, რადგან მსგავსი მაღალი დონის შეხვედრის პრესისგან დამალვა შეუძლებლად მიიჩნიეს.

ლიზა ისევ ვერ „დაოკდა“. მან მინესოტის შტატის პროგრესული სენატორი იუჯინ მაკ-კარტი დაიყოლია, კოქტეილზე სტუმრად სწვეოდა. მაკ-კარტის ჰავარდის ბინაში ჩე გევარა დახვდებოდა აშშ-თან კუბის სავაჭრო ინტერესებსა და ამერიკის მთავრობის მიერ კუბის რეჟიმის აღიარებაზე სალაპარაკოდ. ამ გეგმის თაობაზე სენატორმა სახელმწიფო დეპარტამენტს აცნობა. მაკ-კარტის დეტალურად გამოკითხვის შემდეგ, დეპარტამენტის წარმომადგენლებმა დაასკვნეს: „ეს დიალოგი მთლიანად ლიზას მიერაა ინიცირებული და ჩე გევარას სათქმელი არაფერი აქვს“.[15]

კუბის საკითხში ხმის უფლების სამუდამოდ დაკარგვის შემდეგ, აგვისტოს მიწურულს ლიზა სენატის არჩევნებში მონაწილე რობერტ კენედის ისე შეუპოვრად დაუპირისპირდა, რომ თეთრი სახლის პრესმდივანმა პიერ სელინჯერმა ორჯერ დაურეკა ტელეკომპანიას ჟურნალისტის უკონტროლობის ალაგმვის მოთხოვნით. ABC News-მა თავისი ერთ-ერთი აღმასრულებელი დირექტორი ატლანტიკ-სიტიში (ნიუ-ჯერსის შტატი) მიმდინარე კონგრესზე სპეციალურად გაგზავნა იმისთვის, რომ თავისი მოქალაქეობრივი ვალის ღრმა რწმენით მოქმედი ჰავარდისთვის ეთქვა, რობერტ კენედიზე „თავდასხმა შეეწყვიტა და მისთვის თავი დაენებებინა“.[15] საპასუხოდ, ლიზამ კიდევ უფრო გააძლიერა საზოგადოებრივი ძალისხმევა კენედის

BRAMS 2020 May
Volume 1, Issue 2
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

კანდიდატურის წინააღმდეგ, თან უფროსობას ახსნა-განმარტებითი წერილი მისწერა 1964 წლის 16 სექტემბერს.

ერთ თვეში, პრინციპულობისა და უკომპრომისობის გამო, ლიზამ დაკარგა სამსახური ABC News-ში, ისევე, როგორც თავისი კავშირები კუბასა და ჯონსონის ადმინისტრაციასთან. უბრძოლველად ფარ-ხმლის დაყრა არც უფიქრია და ჰავარდმა ტელეკომპანიას სასამართლოში უჩივლა. მისი რეპუტაციისა და კარიერისთვის ზიანის მიყენების ბრალდებით, ჟურნალისტი ქალი 2 მლნ აშშ დოლარის კომპენსაციას ითხოვდა. 1965 წლის დასაწყისში ნიუ-იორკის შტატის უზენაესმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა აღნიშნული სარჩელი.

ჰოლივუდური ღიმილით დაწყებული თავბრუდამხვევი ტელეკარიერა ტრაგიკულად დასრულდა ჟურნალისტური საქმიანობის პოლიტიზირების, მისი, როგორც იდუმალი ემისრის, სარისკო პრინციპულობის გამო, რასაც მედიასამყაროდან ლიზა ჰავარდის „მგლის ბილეთით“ ჩამოშორების, კუბასა და აშშ-ის ადმინისტრაციასთან ჰავარდის პოლიტიკური კავშირების გაწყვეტის გარდა, გაზაფხულის მიწურულს პირადი ტრაგედიაც დაემატა.[19] ერთ დღესაც ვეღარ გაუძლო წარუმატებლობისა და გულისტკივილის უწყვეტ ჯაჭვს და 1965 წლის 4 ივლისს ახალგაზრდა, ენერგიითა და ენთუზიაზმით სავსე ქალმა საკუთარი სიცოცხლე ხელყო.[32]

როდესაც ამერიკა თავის ნაადრევად ჩამქრალ მედიავარსკვლავს უკანასკნელ გზაზე აცილებდა, გამოსათხოვარ სიტყვაში სენატორმა უილიამ პროქსმაირმა ისე, რომ წარმოდგენა არ ჰქონდა ლიზა ჰავარდის კულუარულ დიპლომატიაზე, აღნიშნა: „საკუთარი არაორდინალური თავგანწირვით, მან მორალური სიძლიერის მნიშვნელობა დაგვანახა: ემსახურა სიმართლეს, ისტაბლიშმენტის მიერ ნებადართულზე გაცილებით მეტი სიმართლე გამოააშკარავა და მასზე ხმამაღლა, გარკვევით თქვა“.[15] იმ დროს არც სენატორმა პროქსმაირმა იცოდა და არც მარადისო-

BRAMS 2020 May
Volume 1, Issue 2
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ბაში გადასული ჟურნალისტის თანამედროვე დიპლომატებს შეეძლოთ განეჭვრიტათ, რომ XXI საუკუნეში ექნებოდა მნიშვნელოვანი გაგრძელება საიდუმლო ემისრის პოლიტიკურ თავგანწირულობას.

ლიზა ჰავარდის ღვაწლმა აშშ-კუბის „კეთილშობილური დაახლოების“[16] საქმეში კულისებსმიღმური დიპლომატიის საფუძველი შექმნა, რამაც ნახევარი საუკუნის შემდეგ, 2015 წლის 14 აპრილს გამოიღო დროებითი ნაყოფი „ობამას ადმინისტრაციის მიერ კუბასთან ურთიერთობაში მიღწეული „გარღვევით“.[3] ლიზა ჰავარდს რომ 2016 წლამდე ეცოცხლა, ინტერესს მოკლებული არ იქნებოდა მისი აზრი ამერიკის 44-ე პრეზიდენტის ჰავანაში სამდღიან ვიზიტთან დაკავშირებით, გაზ. „ვაშინგტონ პოსტის“ ჟურნალისტმა რომ „ცივი ომის“ დასასრულად მონათლა რვა თვის დაგვიანებით.[6] ცხადია, ეს სტატია ახლადარჩეული რესპუბლიკელი ტრამპისთვის აშკარად პოლიტიკური გზავნილის ფუნქციით დაიბეჭდა ნოემბრის თვეში.

ბარაკ ობამას მიერ სრულიად იგნორირებულმა მხცოვანმა ფიდელ კასტრომ საკმაოდ სკეპტიკურად შეაფასა ე.წ. ისტორიული მნიშვნელობის ფაქტი თავის 1500-სიტყვიან ღია წერილში „ძმა ობამას“.[4] კუბის რევოლუციის ლიდერის „მოკრძალებული ვარაუდი, რომ ის (ობამა, დ.ტ.) მხოლოდ იდეას განასახიერებდა და კუბასთან დაკავშირებით რეალურ ქმედებათა შემუშავებას მიზნად არ ისახავდა“,[18] სიმართლისგან შორს არ აღმოჩნდა. ობამას მიერ ჰავანაში ტელეგამოსვლისას წარმოთქმულმა სიტყვამ მსგავსი შთაბეჭდილება დაუტოვა კუბის რეჟიმისგან შტატებში თავშეფარებულ ოპოზიციონერთა ნაწილსაც.[31] მრავლისმეტყველია დონალდ ტრამპის ადმინისტრაციის დაბრუნება ლინდონ ჯონსონისეულ პოლიტიკურ პოზიციაზე კასტროს სამშობლოსთან მიმართებაში. შესაბამისად, ვიდრე ძველებურად გადაუჭრელია აშშ-კუბის პრობლემა, აქტუალობას არ დაკარგავს „ლამაზი და საშიშრად ჭკვიანი“ საიდუმლო ემისრის დიპლომატიური დანატოვარი.[1]

BRAMS 2020 May
Volume 1, Issue 2
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

ლიტერატურა ▫ References

1. Anderson, Jon Lee, *Donald Trump Reverses Barack Obama's Cuba Policy*, The New Yorker, 17 June 2017.
2. Borger, Julian, *Revealed: how Kennedy's assassination thwarted hopes of Cuba reconciliation*, The Guardian, 26 November 2003.
3. Carpozi Jr., George (October 1965), *The Last Day of Lisa Howard's Life*, TV Radio Mirror, New York City, NY: Macfadden-Bartell Corporation. 64 (5):87.
4. Castro Ruz, Fidel, *El hermano Obama*, Granma, 28 de marzo de 2016 (granma.cu).
5. Darlington, Shasta, and Ed Hornick, *U.S. and Cuba practice softball diplomacy*, CNN politics, 19 November 2009.
6. DeYoung, Karen, *How Obama's trip to Havana finally ended the Cold War*, The Washington Post, 18 November 2016.
7. Donovan, James B. (2015), *Strangers on a Bridge: The Case of Colonel Abel*, Kindle Edition, London, UK: Penguin Books.
8. Druid, Nan C., *JFK: America's First Psychedelic President?*, High Frontiers magazine, 1985.
9. *Fidel Castro's famous interview with Lisa Howard* (24 April 1963, ABC News), YouTube, uploaded on 26 November 2016 by e2 films.
10. González, Juan (host), and Amy Goodman (host), Peter Kornbluh (guest), *The Untold Story of How Fidel Castro's Love Affair with ABC Journalist Altered U.S.-Cuban Relations*, Democracy Now!, 24 April 2018.
11. *Gordon Chase*, The National Security Archive, The George Washington University. Retrieve 20 January 2020 (nsarchive2.gwu.edu).
12. Katz, Andrew, and Michelle Molly, *Six photographers recall their unique moments with Fidel Castro*, Time magazine, 12 December 2016.
13. *Kennedy Sought Dialogue with Cuba. Initiative with Castro Aborted by Assassination, Declassified Documents Show*, Oval Office Tape of the meeting in Havana; Documents record role of ABC News correspondent Lisa Howard as secret intermediary in Rapprochement effort, The National Security Archive, posted on 24 November 2003.
14. Kornbluh, Peter, *As Castro Era Ends, the National Security Archive Posts Records on Back-Channel Efforts towards Rapprochement by Pioneering Journalist Lisa Howard*, The National Security Archive, 20 April 2018.
15. Kornbluh, Peter, *'My Dearest Fidel': An ABC Journalist's Secret Liaison with Fidel Castro*, Politico magazine, 21 April, 2018.
16. Kornbluh, Peter, *'My Dearest Fidel': An ABC Journalist's Secret Liaison with Fidel Castro*, Politico magazine, May/June, 2018.
17. Kornbluh, Peter, and William M. LeoGrande (2015), *Back Channel to Cuba: The Hidden History of Negotiations between Washington and Havana*, North Carolina Press, pp. 67-89.
18. Lakhani, Nina, *Fidel Castro rails against 'Brother Obama' after US president's trip to Cuba*, The Guardian, 28 March 2016.

ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)

19. *Lisa Howard, ABC*, 20 December 1963, Columbia University Bureau of Applied Social Research Records, Digital Identifier: CUBASRREC-001-032-p0001, John F. Kennedy Presidential Library and Museum.
20. McNary, Dave, *Gal Gadot Producing, Possibly Starring in Fidel Castro Journalism Drama*, Variety, 23 May 2018.
21. Padgett, Tim, *Former Cuban Leader Fidel Castro Dies at 90*, Time magazine, 26 November 2016.
22. *Statement by the President on Cuba Policy Changes*, The White House Office of the Press Secretary, 17 December 2014 (obamawhitehouse.archives.gov).
23. Stilwell, Blake, *The Cuban Missile Crisis: 13 days that almost ended the world*, We Are The Mighty, 14 October 2015.
24. Summers, Anthony (1980), *Conspiracy*, McGraw-Hill, ISBN-13: 978-0070623927. (The interview with Arthur Schlesinger in 1978).
25. Swift, Thomas P., *Red and Blue Networks on NBC to Be Split; WJZ May Be Sold*, The New York Times, 9 January 1942. – ABC (American Broadcasting Company) ამერიკული კომერციული სატელევიზიო ქსელი; დაფუძნდა 1943 წელს. ტელემაუწყებლობა დაიწყო 1948 წელს. მისი პირველი ტელეეთერი 1948 წლის 19 აპრილს შედგა. ტელეარხი შედის აშშ-ის ტელეარხების დიდ სამეულში. ABC News არის ABC-ის ქვეგანყოფილება, რომელიც სიახლური ინფორმაციის მოპოვებასა და სიახლური გადაცემების მომზადებაზეა ორიენტირებული.
26. *The Cuban Missile Crisis, October 1962*, Milestones in the History of U.S. Foreign Relations, Office of the Historian. Retrieved 25 February 2020 (history.state.gov).
27. *The Edge of Night* (TV Series 1956-1984, creator – Irving Vendig), starring Lisa Howard as Louise Grimsley in Series 1, Episodes: 240, 249, 252, 253, 254, 255, 266, 299 (1957).
28. *Thirteen Days* (2000, director – Roger Donaldson).
29. *Unpublished interview of Lisa Howard to Fidel Castro (1964): The US should live in peace with Cuba*, Fidel Soldado de las Ideas, Estados Unidos, 01/02/1964 (fidelcastro.cu).
30. *U.S.-Cuba Relations*, written by CFR.org Editors, Council on Foreign Relations, Last update 27 March 2020.
31. Watts, Jonathan, *A Cuban dissident on Obama's speech: He didn't mention the word 'opposition'*, The Guardian, 23 March 2016.
32. Zook, Kristal Brent, *Meet the woman journalist behind early US-Cuba talks*, WMC News & Features, 9 July 2015.
33. დიუმა-მამა ალექსანდრე (1864), პარიზის მოჰიკანები, გამოთქმა „ეძებეთ ქალი“ (cherchez la femme).
34. ლიზა ჰავარდის წერილი ფიდელ კასტროსადმი; 1963 წლის აპრილი. ჯონ კენედის სახელობის პრეზიდენტის ბიბლიოთეკა; ეროვნული უსაფრთხოების ფაილები.
35. ნადარეიშვილი მაია (2008), მეოთხე კედლის ნგრევა, თბილისი: გამომცემლობა „უნივერსალი“, გვ. 451 (ცივი ომი).

BRAMS 2020 May
Volume 1, Issue 2
ISSN 2667-9299 (print)
ISSN 2960-9348 (online)